

ხელნაწერი: ...(797), XIX ს.

მინაწერები

60r-61r

თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა:

თქმული ბატონის შვილისა გამგებლის პატრონისა ვახტანგისა:

მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლის ვახტანგ წიგნისა ამას ამისთვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნოდეს მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა მსგავსად თვალთა რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჭიქასა ქვად პატრონისად სახელ სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივ სცემენ და ესეცა ვთქვათ მზგავსისა ჭიისა მის რომელი არს გვამთა მფრინვლის ათა გემოვნებისა და განძლომისა თვისისათვის სჭამს მფრინველსა მას ჭამისა მით მასცა მოჰკლავს და თვითცა მოკვდების აწ მე ამისთვის დავშვერ ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად და რადგან ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა .

ხანსა ამას წინ რომ ელი იტყვის რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქმად შემდგომითურ მაგრა ამად თქუ თუცა ეთქვა წმიდათა წერილთაებრ ვინ გაუშვებდა

მინაწერეგრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებს აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა უსწავლნი და უმეცარნი სოფლის საშველად და სიბრძნედ შერაცხს და მით სიხარულად შეიტკობს ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ ესრეთ ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი; და ამით ნამუშაკუარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება და აწ ესე მოისმინეთ ვეფხის ტყაოსანი მე ასე მითარგმნია და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ ცნოთ ვინმე თქვენცა სთარგნეთ მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს რაც რაც რუსთველისაა იმას გარდა არა მითქვამს რა და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით ყველა ეკადრება მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს აწ ასრე ვსთარგმნე ვითა მას მთქმელსა ეთქვა მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის თუცა ესე ვიპოვნე მაგრამ ერთად მოუცლელობისათვის მე ორედ გზა და რიგი გამირკუევია ვისცა თარგმანი გინდათ ასეა ამისი თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით დარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ თუცა სულ მეთარგმნა სხვა რას იქმოდა და თუცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს არა ისრე არისო მე უგბილობაში ჩამომირთმევია ამისთვის თავად რუსთველის დროს ქალი ბატონად დაამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა და მეორედ ორი კათალიკოზი რამთონი სამღვდელო წმიდა და ღირსნი იყვნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევ ინდებდენ და ნათქვამსა დაუხვეველს როდის გაუშვებდენ თვარამ ახლა გასინჯეთ ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდელიობა და ახლანდელიობა შორიშორ არის თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს თარგმანი ხომ ასრე სჯობს ლთისა და

კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითველთ იცით მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო
უბრალო ვარ ქვეყანის უფროსი ავის დამშლელი ჯამს და ამად დავშვერ